



## შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის  
სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური  
საბჭოზე

რექტორი: ანზორ შარაშენიძე

## სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

2019

## 1. ტერმინთა განმარტება

სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- ბ) საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- გ) დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი;
- ე) სასწავლო კომპონენტი – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;
- ვ) კვლევითი კომპონენტი – მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია წინარე სამაგისტრო ნაშრომის/სამაგისტრო ნაშრომის სახით;
- ზ) სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;
- თ) სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ., ნავლებასწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);

- ი) შეფასების ფორმები – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ანმრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;
- კ) შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);
- ლ) შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა);
- მ) შეფასების კრიტერიუმი – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

## 2. სტუდენტის შეფასების სისტემა

2.1. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა/შეფასება შეფასების 91-100 ქულა A - „ფრიადი“

მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა B - „ძალიან კარგი“

მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა C - „კარგი“ მაქსიმალური

შეფასების 61-70 ქულა D - „დამაკმაყოფილებელი“ მაქსიმალური

შეფასების 51-60 ქულა E - „საკმარისი“ და ორი სახის უარყოფით

შეფასებას:

ქულა/შეფასება მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა Fx -

„ვერ ჩააბარა“ მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და

ნაკლები F - „ჩაიჭრა“

- 2.2. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, კვლევითი კომპონენტის და პრაქტიკის კომპონენტის შემადგენელი ნაწილით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა, რაც გამოიხატება 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით;
- 2.3. პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან/და მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო (სემესტრულ) შეფასებას;
- 2.4. შეფასების თითოეული ფორმა შეიძლება დაიყოს კომპონენტებად (წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა), რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს. ეს უკანასკნელი შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს;
- 2.5. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებული იქნას შეფასების შემდეგი მეთოდები - ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრეზენტაციის წარმოდგენა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის, სიტუაციური ამოცანის ამოხსნა, იმპროვიზებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა;
- 2.6. შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმი, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე;
- 2.7. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის;
- 2.8. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში განისაზღვროს 40 ქულით, შესაბამისად შუალედური შეფასების ხვედრითი წილი 60 ქულა იქნება;

2.9. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით;

2.10. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

3. - საკურსო ნაშრომის შეფასების სისტემა: საკურსო ნაშრომის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა მოიცავს სტუდენტის მიერ შესრულებული საკურსო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (max 60 ქულა) და მისი საჯარო პრეზენტაციის შეფასებას (max 40 ქულა).

- შესრულებული საკურსო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება (max 70 ქულა) ნაწილდება:

ა) საკურსო ნაშრომის სიახლე და აქტუალობა - განმარტება და დასაბუთება - max - 20 ქულა

- საკურსო ნაშრომის სიახლე და აქტუალობა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული - 17-20 ქულა

- საკურსო ნაშრომის სიახლე და აქტუალობა ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ აკლია სიცხადე - 13-16 - ქულა;

- საკურსო ნაშრომის სიახლე და აქტუალობა ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული კონტექსტუალური ფაქტორები - 9-12 ქულა;

- საკურსო ნაშრომის სიახლე და აქტუალობა ზედაპირულად და არა არგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული - 5-8 ქულა;

- საკურსო ნაშრომის სიახლე და აქტუალობა ფორმულირებულია არაკვალიფიციურად, კონტექსტუალური ფაქტორების გათვალისწინებლად - 1-4 ქულა;

- საკურსო ნაშრომის სიახლე და აქტუალობა არ არის ფორმულირებულია - 0 ქულა.

ბ) საკურსო ნაშრომის მიზანი - განმარტება და დასაბუთება - max - 15 ქულა

- საკურსო ნაშრომის მიზანი ლოგიკურადაა განმარტებული და დასაბუთებული - 10-15 ქულა

- საკურსო ნაშრომის მიზანი ლოგიკურადაა განმარტებული, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება

- 9-12 ქულა

- 
- საკურსო ნაშრომის მიზანი განმარტებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის დასაბუთებული - 6-9 ქულა
- საკურსო ნაშრომის მიზანი ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული - 4-6 ქულა
- საკურსო ნაშრომის მიზანი ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე - 1-2 ქულა
- საკურსო ნაშრომის მიზანი არ არის ჩამოყალიბებული - 0 ქულა.

გ) შერჩეული მასალა, პირველწყაროები, ლიტერატურა - max -15 ქულა

- შერჩეული მასალა, პირველწყაროები და ლიტერატურა სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. უცხოური ლიტერატურა ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი - 10-15 ქულა;
- შერჩეული მასალა, პირველწყაროები და ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკურსო ნაშრომის მოთხოვნებს. უცხოური ლიტერატურა მნიშვნელოვანი სპექტრით არის წარმოდგენილი - 9-12 ქულა;
- შერჩეული მასალა, პირველწყაროები და ლიტერატურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული. უცხოური ლიტერატურა უმნიშვნელო სპექტრით არის წარმოდგენილი - 6-9 ქულა;
- შერჩეული მასალა, პირველწყაროები და ლიტერატურა არის შემთხვევითი, აკლია შესაბამისობა და ხარისხი. წარმოდგენილია მხოლოდ არაარსებითი ხასიათის უცხოური ლიტერატურა - 4-6 ქულა;
- შერჩეული მასალა, პირველწყაროები და ლიტერატურა საერთოდ არ შეესაბამება საკურსო ნაშრომის მოთხოვნებს. უცხოური ლიტერატურა იგნორირებულია - 1-2 ქულა;
- მასალა, პირველწყაროები და ლიტერატურა საერთოდ არ არის შერჩეული - 0 ქულა.

დ) გამოყენებული მეთოდოლოგია - max - 10 ქულა

- გამოყენებული მეთოდოლოგია კომპლექსურად, კვალიფიციურად, და სრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით სტუდენტი წარმატებით შეძლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას - 9-10
- გამოყენებული მეთოდოლოგია კვალიფიციურადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით სტუდენტი შეძლებს უპასუხოს საკურსო ნაშრომის ძირითად პრობლემატიკას - 7-8
- გამოყენებული მეთოდოლოგია არასრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით სტუდენტი ვერ შეძლებს სრულად უპასუხოს საკურსო ნაშრომის ძირითად პრობლემატიკას - 5-6
- გამოყენებული მეთოდოლოგია მოძველებულია და შეუსაბამოა თემასთან. სტუდენტი ვერ შეძლებს უპასუხოს საკურსო ნაშრომის ძირითად პრობლემატიკას - 3-4
- გამოყენებული მეთოდოლოგია შერჩეულია არაკვალიფიციურად - 1-2
- მეთოდოლოგია არ არის შერჩეული - 0

ე) საკურსო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა - max - 10 ქულა

- საკურსო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული - 9-10
- საკურსო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ ცალკეული საკითხები მოითხოვს დაზუსტებას - 7-8
- საკურსო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა ჩამოყალიბებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები - 5-6
- საკურსო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული - 3-4
- საკურსო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული - 1-2
- საკურსო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა არ არის ჩამოყალიბებული - 0 საკურსო ნაშრომის დაცვა - 30 ქულა. აქედან:

ნაშრომის ვიზუალური მხარე - მაქსიმალური 5 ქულა;

- დამაკმაყოფილებელია ნაშრომისადმი წაყენებული ტექნიკური და სტილისტური მოთხოვნების დაცვა -4 ქულა
- საშუალოდაა დაცული ნაშრომისადმი წაყენებული ტექნიკური და სტილისტური მოთხოვნები - 3 ქულა;
- დამაკმაყოფილებელია ნაშრომის შესრულების ტექნიკური მხარე, მაგრამ არის ბევრი სტილისტური და გრამატიკული შეცდომა (ან პირიქით) -2 ქულა;
- არის ძალიან ბევრი ტექნიკური და სტილისტურ- გრამატიკული შეცდომა - 1 ქულა; ნაშრომის პრეზენტაცია - მაქსიმალური 10 ქულა; (მეტყველება და გადმოცემის უნარი - 5 ქულა; კომუნიკაცია აუდიტორიასთან -5 ქულა); მეტყველება და გადმოცემის უნარი -5 ქულა;
- მეტყველებს დამაკმაყოფილებლად და თემასთან კავშირში - 4 ქულა;
- მეტყველებს არასრულყოფილად, მაგრამ თემასთან კავშირში - 3 ქულა;
- მეტყველებს ზოგადად და თემასთან ახლოს - 2 ქულა;
- უჭირს მეტყველება და საუბარი მხოლოდ ზოგადად ეხება თემას - 1 ქულა;

კომუნიკაცია აუდიტორიასთან ისტ-ს გამოყენება - მაქსიმალური 5 ქულა;

- მომხსენებლის კონტაქტი აუდიტორიასთან დამაკმაყოფილებელია -4 ქულა;
- კონტაქტი არასრულყოფილია, იყენებს ისტ საშუალებებს - 3 ქულა;
- კონტაქტი უჭირს აუდიტორიასთან - 2 ქულა;
- სუსტად ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან არ იყენებს ისტ საშუალებებს - 1 ქულა.

აუდიტორიის (კომისიის წევრების) შეკითხვებზე პასუხი - 15

ხელმძღვანელის მიერ რეცენზირებული საკურსო ნაშრომსა და მის პრეზენტაციას საკვალიფიკაციო კომისიის თითოეული წევრი სათითაოდ აფასებს მაქსიმალური 40 ქულით და მერე ხდება საშუალო არითმეტიკული დაჯამება. საბოლოო დამრგვალებას განახორციელებს საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე.

- პრეზენტაცია არ ჩაუტარებია - 0 - ქულა

2.13. პროგრამით გათვალისწინებული - საკურსო ნაშრომის შეფასების სისტემა:

10. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული - სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა:



სტუდენტის მიღწევების შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და შემფასებლის შეფასებისა (max 60 ქულა) და ზეპირი დასკვნითი გამოცდის/დაცვის შეფასებას (max 40 ქულა).

შენიშვნა: სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელი შეიძლება იყოს მხოლოდ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მცნირების დარგში გამოქვეყნებული აქვს შრომები. შემფასებელი არ შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელი. შემფასებლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით იღებს ფაკულტეტის დეკანი.

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას 5 კომპონენტის საფუძველზე, ახორციელებს თემის ხელმძღვანელი max 60 ქულით.

ზეპირი სამაგისტრო გამოცდა/დაცვა ტარდება სასწავლო კურსის დასრულებისას მე-18-მე-19 სასწავლო კვირას. სტუდენტი ზეპირ დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე წარმოადგენს დასრულებული სახით მომზადებულ და სათანადოდ გაფორმებულ სამაგისტრო ნაშრომს, PowerPoint-ის გამოყენებით მოახდენს მის მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი დებულებების პრეზენტაციას და უპასუხებს დასმულ შეკითხვებს.

ზეპირი სამაგისტრო გამოცდაზე/დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის მომენტისთვის აქვს აქტიური სტატუსი და შეაღებური (სამაგისტრო თემის ხელმძღვანელისა და შემფასებლის) შეფასებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა. სტუდენტს, რომელსაც მიღებული არ ექნება სავალდებულო მინიმალური 11 ქულა, ზეპირ სამაგისტრო გამოცდაზე/დაცვაზე არ დაიშვება.

ზეპირი დასკვნითი გამოცდის/დაცვის შეფასებას, გამოცდის/დაცვის დასრულებისთანავე დახურულ სხდომაზე 4 კომპონენტების საფუძველზე ახორციელებენ ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი კომისიის წევრები/გამომცდელნი, ზეპირი დასკვნითი გამოცდა/დაცვა თითოეული კომისიის წევრის/გამომცდელის მიერ ფასდება max 40 ქულით. ზეპირი დასკვნითი გამოცდის საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი

-

სპეციალური კომისიის წევრთა/გამომცდელთა რაოდენობაზე). სასწავლო კომპონენტის შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის შეფასების ჯამს.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა).

ა) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/შემფასებლის შეფასების კრიტერიუმები - სულ - max 60 ქულა (შენიშვნა: სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას ერთსა და იმავე კრიტერიუმის ფარგლებში ქულათა დიფერენცირება ითვალისწინებს სტუდენტის მიერ დაშვებული არაარსებითი ხასიათის უზუსტობას).

- კვლევა შესრულებულია ლოგიკური თანმიმდევრობით. ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი ზედმიწევნით პასუხობს თემის სათაურს - 17-20 ქულა;  
კვლევა შესრულებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი სრულად პასუხობს თემის სათაურს, მაგრამ ნაშრომის შინაარსში ასახულ ცალკეულ საკითხებს აკლია დასაბუთება 13-16 ქულა;
- კვლევა შესრულებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი პასუხობს თემის სათაურს, მაგრამ ნაშრომის შინაარსში ასახულ ცალკეულ საკითხებს აკლია დასაბუთება და სიცხადე - 9-12 ქულა;
- კვლევის ეტაპები ყოველთვის არ არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული. ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი პასუხობს თემის სათაურს, მაგრამ ნაშრომის შინაარსში ასახული საკითხები ბოლომდე არ არის დასაბუთებული - 5-8 ქულა;
- კვლევის ეტაპები ყოველთვის არ არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული. ნაშრომის სტრუქტურა სრულყოფილად არ პასუხობს თემის სათაურს, ხოლო შინაარსი ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული - 1-4 ქულა;
- კვლევა შესრულებულია არალოგიკური თანმიმდევრობით. ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი საერთოდ არ პასუხობს თემის სათაურს - 0 ქულა.

-

ა) საკუთარი იდეები და პოზიციები - max - 15 ქულა

- კომპლექსურად განსაზღვრავს ახალ, ორიგინალურ და უნიკალურ იდეას. სისტემატურად და მეთოდურად აანალიზებს და კვალიფიკაციურად აფასებს სხვადასხვა პოზიციებს - 10-15 ქულა;
- სპეციფიკურ კონტექსტში განსაზღვრავს ახალ, საინტერესო იდეას. პოზიციის დაფიქსირებისას მკაფიოდ არ მიჯნავს საკუთარ და სხვის მოსაზრებებს - 9-12 ქულა;
- ცდილობს ახალი იდეების ჩამყალიბებას, რომელიც ბოლომდე არ არის ფორმულირებული. იძლევა სხვის მოსაზრებებთან კრიტიკულ შეფასებას ისე, რომ არ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი მოსაზრება - 6-9 ქულა;
- იმეორებს ხელმისაწვდომ იდეებს და ვერ შეაქვს მასში სიახლეები. პოზიციის დაფიქსირებისას ვერ ანსხვავებს მტკიცებულებებს და ვარაუდებს - 4-6 ქულა;
- ვერ ახდენს განსხვავებული იდეის ფორმულირებას. ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის ანალიზს და შეფასებას - 1-2 ქულა;
- საკუთარი იდეები და პოზიციები საერთოდ არ არის წარმოდგენილი - 0 ქულა;

ბ) დასკვნები და შედეგები - max - 15 ქულა

- დასკვნა ლოგიკურია და ასახავს მაგისტრანტის ინფორმირებულობის მაღალ დონეს და პრიორიტეტების გამოყოფის უნარს - 10-15 ქულა;
- დასკვნა ლოგიკურია, ნათლად არის წარმოდგენილი განსხვავებული და მსგავსი მოსაზრებების პოზიციები - 9-12 ქულა;
  - დასკვნა ლოგიკურადაა არის მიბმული შედეგებთან - 6-9 ქულა;
  - დასკვნა არ წარმოადგენს მიღებული შედეგების ლოგიკურ გაგრძელებას - 4-6 ქულა;
  - დასკვნა შეუთავსებელია წარმოდგენილი კვლევის შედეგებთან - 1-2 ქულა; დასკვნები და შედეგები საერთოდ არ არის წარმოდგენილი - 0 ქულა.

გ) აკადემიური წერის კულტურა - max - 10 ქულა

- ნაშრომი დანერვილია შეცდომების გარეშე, მთლიანად არის გამართული და აზრები თანმიმდევრულადაა გადმოცემული. სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია - 9-10 ქულა;

- 
- ნაშრომი დაწერილია უმნიშვნელო შეცდომებით, მთლიანად არის გამართული და აზრები თანმიმდევრულადაა გადმოცემული. სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია -7-8 ქულა;
- ნაშრომი დაწერილია შეცდომებით, მთლიანად არ არის გამართული და აზრები არათანმიმდევრულადაა გადმოცემული. გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია - 5-6 ქულა;
- ტექსტში არსებული გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის წაკითხვას, ტექსტი გამართული არაა სტრუქტურულად, არის ტერმინოლოგიური შეცდომები - 3-4 ქულა;
- ტექსტი შეიცავს უამრავ ტერმინოლოგიურ და აზრობრივ შეცდომებს, რის გამოც მისი შინაარსის გაგება გართულებულია - 1-2 ქულა;
- ტექსტი დაწერილია ბუნდოვნად, ტერმინები არასწორია და პრაქტიკულად მისი შინაარსი გაუგებარია - 0 ქულა.

დ) ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება - max - 10 ქულა

- ტექსტში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია სამართლებრივ ჩარჩოშია, ხოლო სხვისი ნაშრომებიდან ამონარიდები და ციტატები სქოლიოში კეთილსინდისიერადაა მითითებული - 9-10 ქულა;
- ტექსტში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია სამართლებრივ ჩარჩოშია, ხოლო სხვისი ნაშრომებიდან ამონარიდები და ციტატები სქოლიოში უმეტესწილად მითითებულია - 7-8 ქულა;
- ინფორმაციის მცირე ნაწილის წყარო არაა მითითებული, ხოლო ციტირება ეთიკურად გამართულია - 5-6 ქულა;
- ინფორმაციის საკმაოდ დიდი ნაწილის წყარო დაუდგენელია, ასევე ციტატების გარკვეული ნაწილის წყარო არაკვალიფიციურადაა მინიშნებული - 3-4 ქულა;
- ინფორმაცია საეჭვოა, ხოლო ციტატები წყაროების გარეშეა მოყვანილი - 1-2 ქულა;
- გამოყენებული ინფორმაცია გაურკვეველი და საეჭვო წარმოშობისაა, ხოლო ციტატები უადგილოდ და წყაროების გარეშეა მოყვანილი - 0 ქულა.

-  
➤ ზეპირი დასკვნითი გამოცდის/დაცვის შეფასების კრიტერიუმები - სულ - max 30 ქულა შენიშვნა:  
სამაგისტრო კვლევის პროექტის შეფასებისას ერთსა და იმავე კრიტერიუმის ფარგლებში ქულათა დიფერენცირება ითვალისწინებს სტუდენტის მიერ დაშვებული არაარსებითი ხასიათის უზუსტობას.

ა) აქტუალური პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი - max - 10 ქულა

- პრობლემას მკაფიოდ და ლოგიკურად აყალიბებს და შემოქმედებითად და ორიენტირებულად წარმოაჩენს - 9-10 ქულა;
- პრობლემას ლოგიკურად აყალიბებს, მაგრამ აკლია სიცხადე. ორიენტირებულად წარმოაჩენს პრობლემას. შეინიშნება კრეატიულობის ელემენტები - 7-8 ქულა;
- პრობლემას აყალიბებს, მაგრამ აკლია სიცხადე და ლოგიკურობა. აკლია კრეატიულობის ელემენტები - 5-6 ქულა;
- პრობლემას აყალიბებს ზედაპირულად და წარმოაჩენს არააგუმენტირებულად - 3-4 ქულა;
- პრობლემას აყალიბებს არაკვალიფიციურად. ფაქტობრივად ვერ წარმოაჩენს პრობლემას - 1-2 ქულა;
- პრობლემას საერთოდ ვერ აყალიბებს და ვერ წარმოაჩენს - 0 ქულა.

ბ) სიახლის დასაბუთების უნარი - max - 10 ქულა

- სიახლეს ასაბუთებს ლოგიკურად, რაც ასახავს მაგისტრის ინფორმირებულობის მაღალ დონეს და პრიორიტეტების გამოყოფის უნარს - 9-10 ქულა;
- სიახლეს ასაბუთებს ლოგიკურად, ნათლად წარმოაჩენს განსხვავებულ და მსგავს მოსაზრებებს - 7-8 ქულა;
- სიახლეს ვერ ასაბუთებს ლოგიკურად, თუმცა წარმოაჩენს განსხვავებულ და მსგავს მოსაზრებებს - 5-6 ქულა;
- სიახლეს წარმოაჩენს არააგუმენტირებულად - 3-4 ქულა;
- ფაქტობრივად ვერ წარმოაჩენს კვლევის სიახლეს - 1-2 ქულა; - საერთოდ ვერ წარმოაჩენს კვლევის სიახლეს - 0 ქულა.

გ) საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი - max - 5 ქულა

- 
- საკუთარი პოზიციის დაცვისას საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, ლოგიკურად, თანმიმდევრულად, დამაჯერებლად და გარკვევით - 4-5 ქულა;
- საკუთარი პოზიციის დაცვისას საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, საინტერესოდ და გარკვევით - 3-4 ქულა;
- საკუთარი პოზიციის დაცვისას საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, თუმცა არადამაჯერებლად და არათანმიმდევრულად - 2-3 ქულა;
- საკუთარი პოზიციის დაცვისას ყურადღება გადააქვს არაარსებით საკითხებზე, საკუთარი პოზიციის დაცვისას არ საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით - 1-2 ქულა - საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი არ გააჩნია - 0 ქულა.

დ) კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი - max - 5 ქულა

- ორგანიზაციული ნიმუში (განსაკუთრებული მისალმება და დასკვნა, თანდართული დოკუმენტები) არის აშკარა და ღია, პრეზენტაცია არის შეკრული - 4-5 ქულა;
- ორგანიზაციული ნიმუში (განსაკუთრებული მისალმება და დასკვნა, თანდართული დოკუმენტები) ცხადია და აშკარად შესამჩნევია პრეზენტაციისას - 3-4 ქულა;
- ორგანიზაციული ნიმუში (განსაკუთრებული მისალმება და დასკვნა, თანდართული დოკუმენტები) დროდადრო შესამჩნევია პრეზენტაციისას - 2-3 ქულა;
- პრეზენტაცია არაეფექტიანად არის შესრულებული და ყურადღება არაარსებით საკითხებზე გადატანილი - 1-2 ქულა;
- პრეზენტაცია საერთოდ არ არის შესრულებული - 0 ქულა.

11. სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული - სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა:

სამაგისტრო ნაშრომი არის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სამეცნიერო-კვლევითი ნაწილი, რომელსაც მაგისტრანტი ამზადებს სწავლის პერიოდში საატესტაციო კომისიის ღია სხდომაზე საჯარო დაცვისათვის. ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტი დაიშვება სამაგისტრო პროგრამის თეორიული კურსის დასრულებისა და სწავლის პერიოდში 90 ECTS კრედიტის დაგროვების შემდგომ.

თითოეული სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება კომისიური წესით და ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

თითოეული სამაგისტრო ნაშრომი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ✓ თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები – 0-20 ქულა;
- ✓ გადმოცემის თანმიმდევრულობა, არგუმენტები – 0-10 ქულა;
- ✓ კვლევის, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარი – 0-30 ქულა;
- ✓ ნაშრომის გაფორმება – 0-10 ქულა;
- ✓ ნაშრომის წარდგენა (პრეზენტაცია) – 0-30 ქულა; სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა ჩაითვლება წარმატებულად, თუ კი კომისიის წევრთა შეფასების საშუალო არითმეტიკული (გასაშუალებელი) შეფასება შეადგენს 51 და მეტ ქულას:

12. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება

12. 1. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებას განსაზღვრავს ორი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი. ამასთან, დასკვნითი გამოცდა ატარებს სავალდებულო ხასიათს და ფასდება 40 ქულით, ხოლო შუალედური შეფასებები - 60 ქულით. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვროს დასკვნითი შეფასების 30% ანუ 9 ქულით;

12.2. შუალედური შეფასებების ქულათა ჯამს სემესტრის განმავლობაში სტუდენტი დააგროვებს შემდეგ კომპონენტებში:

- ა) ზეპირი/წერილითი გამოკითხვა;
- ბ) პრაქტიკული/თეორიული სამუშაო;
- გ) შუალედური გამოცდა.

13.3. შუალედური შეფასებების კომპონენტები:

13.3.1. ზეპირი/წერილითი გამოკითხვა - გულისხმობს ლექციებზე, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე ლექტორის მიერ დაგეგმილ სამუშაოებში (სემინარი, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია, ქეისი, ტესტური შემოწმება და სხვ.) სტუდენტის მონაწილეობა/ჩართულობასა და ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენას. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა (არანაკლებ ხუთისა), ჩატარებისა და შეფასების მეთოდები (დისკუსია, დებატი, ტესტი, და სხვ.) და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში.

13.3.2. პრაქტიკული/თეორიული სამუშაო - (კაზუსი, რეფერატი, ესე, პროექტი, პრეზენტაცია და ა.შ.) მოწმდება სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების შედეგად სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევა. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა, ჩატარებისა და შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში; კომპონენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

13.3.3. შუალედური გამოცდა - სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საშუალოდ შეფასება, რომელიც სემესტრის მე-8 კვირაში ტარდება წერილით გამოცდის ფორმით და ფასდება 20 ქულით. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში.

14. დასკვნითი გამოცდა

14.1. დასკვნითი გამოცდა (წერილითი ფორმით) ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში, კერძოდ 17-18 კვირას. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში.

14.2. სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სემესტრის განმავლობაში დააგროვებს 21 ქულას;

14.3. თუ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა ვერ დაიმსახურა დადებითი შეფასება, მაგრამ მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი ტოლია ან აღემატება 41-ს ("Fx"), სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, კერძოდ 19-20 კვირას.



14.4. თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს (F) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება "F" (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით.

14.5. დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

15. დამატებითი გამოცდა

15.1. სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ;

15.2. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულათა რაოდენობა;

15.3. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში;

15.4. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება „F“ (ჩაიჭრა) - 0 ქულა;

15.5. დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება „F“ (ჩაიჭრა);

15.6. ძირითად და დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დაუშვებელია;

15.7. შეფასებასთან დაკავშირებით პრეტენზიის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საშუალება იმ დღესვე მიმართოს დეკანატს, შეფასების გადამოწმება მოხდება კომისიური წესით.

16. სემესტრული შეფასება.

16.1. დადებითი სემესტრული შეფასების მისაღებად სტუდენტი ვალდებულია, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასების შედეგებით დააგროვოს 51 ქულა ან მეტი.

17. განსაკუთრებული შემთხვევები

17.1. შუალედური გამოცდაზე საპატიო მიზნით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ნება ეძლევა სხვა აქტივობებით დააგროვოს საჭირო ქულათა რაოდენობა;

17.2. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA) უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე სასწავლო კურსებში მიღებულ ქულებთან ერთად შეიძლება განისაზღვროს ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA). სასწავლო პროცესის ნებისმიერ ინტერვალში სტუდენტის საშუალო აკადემიური შეფასება გამოითვლება ფორმულით:  $GPA = (\sum \text{თითოეული სასწავლო კურსის GPA} \times \text{შესაბამის კრედიტზე}) / \text{ყველა სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე სადაც, ნებისმიერი სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით: } GPA = \text{სასწავლო კურსში მიღებული შეფასების ქულა} \times 0,04$  GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). Fx და F შეფასება GPA – გამოთვლაში განიხილება 0-ის ტოლად. მაგალითი.ვთქვათ ორ 5 კრედიტიან სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასებებია 100 და 90 ქულა, მაშინ სასწავლო კურსების GPA შესაბამისად ტოლი იქნება  $0,04 \times 100 = 4$  და  $0,04 \times 90 = 3,6$ , ხოლო კუმულატიური GPA ამ ორი კურსისთვის იქნება:  $GPA = (4 \times 5 + 3,6 \times 5) /$

$10 = 3.8$ .

18. აკადემიური ხარისხის მინიჭება

19. საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი:

ა) „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით, თუ სტუდენტმა დააგროვა პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი;

ბ) „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/ სპეციალიზაციის მითითებით, თუ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ჩათვლით სტუდენტმა დააგროვა 120 კრედიტი გაიცემა შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი;

20. დიპლომის სახეებია:

ა) დიპლომი „წარჩინებით“, - ცოდნის (91 - 100) %-ით შეფასების შემთხვევაში;

ბ) დიპლომი „წარჩინების გარეშე“ - ცოდნის (51 - 90) %-ით შეფასების შემთხვევაში;